რუსეთის სულიერი მისიის სამღვდელოებამ მონაწილეობა მიიღო გეთსიმანიის წმინდა მოციქულთასწორ მარიამ მაგდალინელის მონასტერში აღსრულებულ საღვთო ლიტურგიაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 18.07.2025. 18 ივლისს, წმინდა ღირსმოწამეების, დიდი მთავრინა ელისაბედისა და მონაზონ ბარბარეს ხსენების დღეს, იერუსალიმში რუსეთის სულიერი მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, იღუმენმა ნიკონმა (გოლოვკო) მონაწილეობა მიიღო საღვთო ლიტურგიაში გეთსიმანიის წმინდა მოციქულთასწორ მარიამ მაგდალინელის მონასტერში (რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესია), სადაც ალაპაევის ღირსმოწამეთა წმინდა ნეშტები განისვენებენ.

წმინდა მარიამ მაგდალინელის სახ. ტაძარში გამართულ სადღესასწაულო ღვთისმსახურებაში, რომელსაც უძღვებოდა რუსეთის სულიერი მისიის ხელმძღვანელი რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის შემადგენლობაში არქიმანდრიტი რომანი (კრასოვსკი), ასევე მონაწილეობდნენ მონასტრის კლირიკოსები, იერუსალიმის საპატრიარქოს არაბულენოვანი სასულიერო პირები, მისიის მკვიდრი მღვდელმონაზონი პეტრე (ბოროდულინი) და სამღვდელო წოდების მომლოცველები.

საღვთო ლიტურგიაზე ლოცულობდნენ: რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში ა.დ. ვიქტოროვი, წმინდა მოციქულთასწორ მარიამ მაგდალინელის სახ. გეთსიმანიის მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ელისაბედი (შმელცი) დებთან ერთად, ელეონის მთის მაცხოვრის ამაღლების მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ივდითი (ზასტავსკაია) დებთან ერთად, გორნენსკის მონასტრის დები, რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მრავალრიცხოვანმა მრევლი, მომლოცველები და სავანის სტუმრები.

ღვთისმსახურება შესრულდა საეკლესიო სლავურ და არაბულ ენებზე. საღვთო ლიტურგიის გალობები შეასრულა გეთსიმანიის დედათა გუნდმა, – იტყობინება რუსული სულიერი მისიის **საიტი.**

ლიტურგიის განტევების შემდეგ ღირსმოწამე დიდ მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულის ლუსკუმის წინაშე ჩატარდა პარაკლისი ალაპაევის ღირსმოწამეთა მიმართ, რომლის დასრულების შემდეგაც არქიმანდრიტმა რომანმა მლოცველებს ქადაგებით მიმართა და გეთსიმანიის მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია ელისაბედს ანგელოზის დღე მიულოცა.

გეთსიმანიის მონასტრის დების მონდომებით, სასულიერო პირებსა და სასაყდრო ზეიმის სტუმრებს სადღესასწაულო ტრაპეზი შესთავაზეს.

სამონასტრო ტრაპეზის დასრულების შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტი რომანი, მისი თანამწირველი სასულიერო პირები და რუსეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ფინჯან ყავაზე დაპატიჟა წინამძღვრის მოსასვენებელში, სადაც თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში საუბრისას, რუსეთის ელჩმა ისრაელში, ა.დ. ვიქტოროვმა იღუმენია ელისაბედს ასევე მიულოცა ანგელოზის დღე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93418/